



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
დადგენილება №25
07 აგვისტო 2017 წ.

ქ. მარნეული

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის „ბ.ვ“ ქვეპუნქტის, „დ“ პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებულ მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების საფუძველზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს დანართის შესაბამისად მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირება, თანამდებობრივი სარგოების ოდენობა და საშტატო ნუსხა.

მუხლი 2

წინამდებარე დადგენილების ამოქმედებით ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №43 (www.matsne.gov.ge, 01/01/2016, 270070000.35.159.016224) დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2017 წლის 01 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაბი აბდულაევი

თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირება, თანამდებობრივი სარგოების ოდენობა და საშტატო წუსხა				
№	რანგი	თანამდებობის დასახელება	შტატი	სარგო
1	პოლიტიკური თანამდებობის პირები/მთავარი საჯარო თანამდებობა	საკრებულოს თავმჯდომარე	1	2650
2		თავმჯდომარის მოადგილე	1	2250
3		ფრაქციის თავმჯდომარე	8	1680
4		კომისიის თავმჯდომარე	5	1680
სულ შტატი			15	
საკრებულოს აპარატი				
4	პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/წამყვანი საჯარო თანამდებობა	აპარატის უფროსი	1	1680
საორგანიზაციო განყოფილება				
5	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/უფროსი საჯარო თანამდებობა	განყოფილების უფროსი	1	1280
6	მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი/უფროსი საჯარო თანამდებობა	მთავარი სპეციალისტი	3	850
7	მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი/მთავარი სპეციალისტი უმცროსი საჯარო თანამდებობა	მთავარი სპეციალისტი	1	850
8	მეოთხე რანგის მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი/უმცროსი საჯარო თანამდებობა	უფროსი სპეციალისტი	1	750
იურიდიული განყოფილება				
9	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/უფროსი საჯარო თანამდებობა	განყოფილების უფროსი	1	1280
10	მეოთხე რანგის მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი/უმცროსი საჯარო თანამდებობა	უფროსი სპეციალისტი	1	750
	სულ		24	
საერთო ჯამში			191	